

სსიპ „ნოტარიუსთა პალატა“ (ს/N203840656)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019-2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019-2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სსიპ „ნოტარიუსთა პალატა“-ის (შემდგომში „პალატა“) ფინანსურ მდგომარეობას 2019-2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა სტანდარტის შესაბამისად („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში პალატის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- პალატაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს პალატის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ პალატის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019-2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 01 აგვისტო. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია

აღ. დირექტორი


თეა აბრამიშვილი

მთავარი ბუღალტერი


ნათუნა მჭითური

სსიპ „ნოტარიუსთა პალატა“ 203840656
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019-2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	1598692	2301349
საერთო მოგება	1598692	2301349
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	2106553	2603456
მიწოდების დანახარჯები	18030	47132
სხვა არასოპერაციო შემოსავალი	4971	18553
არასოპერაციო ხარჯები	60489	43039
საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები/ ხარჯები	2180101	2691141
ფინანსური შემოსავალი	4064	10767
ფინანსური ხარჯი	324848	44762
ფინანსური ხარჯი - წმინდა	320783	-33995
მოგება დაბეგვრამდე	-902192	-355797
მოგების გადასახადი		
პერიოდის მოგება		
სხვა სრული შემოსავალი:		
საწევრო გადასახადები	374729	456257
პერიოდის მოგება/ზარალი	-527463	48538

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 01 აგვისტოს

აღმასრულებელი დირექტორი

გ. ანაბაძე

თეა აბრამიძე

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა მჭითური

ბ. მჭითური

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ქართული ლარი)	12/31/2020	12/31/2019
მოკლევადიანი აქტივები		
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	61484	233331
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2639	3525
სულ ფული:	64123	236857
მოთხოვნები ნოტარიუსებიდან	183380	262373
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	14209	7332
საგადასახადო აქტივები(გადამხდელის ბარათზე არსებული ზედმეტობები)	9631	258749
სულ მიმდინარე აქტივები:	271343	765311
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		
ნედლეული და მასალები	96206	2101
სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	52277	39261
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	148483	41362
სულ მოკლევადიანი აქტივები	419826	806672.15
ძირითადი საშუალებები:		
ოფისის აღჭურვილობა		571023
აჭარის წარმომადგენლობის ოფისის აღჭურვილობა	2945	2945
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1087595	18286
მიწის ნაკვეთი	290241	290241
შენობები	4490757	1499432
დაუმთავრებელი მშენებლობა		2342526
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული ქონება		136190
ნაგებობები	100	218
არამატერიალური აქტივები	73733	89351
სულ გრძელვადიანი აქტივები	5945371	4950212
სულ აქტივები	6365197	5756884
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	16190	14236
მიღებული ავანსები (ნოტარიუსებიდან)	3393	16433
შრომითი ანაზღაურება	688	1832
მოკლევადიანი სესხები	181586	119283
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	15	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	201872	151784
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	2942003	1856323
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2942003	1856323
სულ ვალდებულებები	3143875	2008107
კაპიტალი		
ძირითადი საშუალებების ფონდი	2590011	2590011
ორგანიზაციის განვითარების ფონდი	345	344
გაუნაწილებელი მოგება	630966	1158423
სულ კაპიტალი	3221321	3748777
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	6365196	5756885

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 01 აგვისტოს

აღმასრულებელი დირექტორი

თეა აბრამიძე

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა მწითური

ფულადი სახსრების მოძრაობის რეესტრი	31.12.2019	31.12.2020
ფულადი სახსრების პერიოდის დასაწყისისათვის	558954	236856
ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
საწევრო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	470393	375386,63
ელ. რეგისტრაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	2571010	1813950
საარქივო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები	143502	107807
სტაჟიზაციიდან მიღებული შემოსავლები		30000
ნოტარიუსებისათვის დაბრუნებული ფულადი სახსრები	-1086	
ფულის შემოსავლა საოპერაციო საქმიანობიდან	3183819	2327143
ფულადი სახსრების გადინება		
მიწოდებისათვის გაწეული ხარჯები	-11420	-760
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	-3964712	-2411689
მომწოდებლებისგან დაბრუნებული ფულადი სახსრები	49776	479
შრომითი გასამრჯელოები	-743610	-678665
ნოტარიუსებისათვის დახმარებების სახით გაცემული ფულადი სახსრები	-277945	-96618
ფიზიკურ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-32188	-11923
გადასახადები	-461621	-126522
ბანკის მოსახურების საკომისიო	-5427	-2595
სხვა ხარჯი	-150	
სულ ფულადი სახსრების გადინება	-5447296	-3328293
ფულის მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	2000000	1267266
გადახდილი სესხები	-24393	-119283
გადახდილი პროცენტი	-44779	-324824
ფულის სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1930828	823159
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავლები	10767	4973
ფულის სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე	-215	283,82
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	322098	172734
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	558954	236856
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	236856	64122

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია
მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 01 აგვისტოს

ადმინისტრაციული დირექტორი

თეა აბრამიძე

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა მწითური

1. კორპორატიული ინფორმაცია

სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (საიდენტიფიკაციო N203840656) დაარსდა 1996 წლის 3 მაისს „ნოტარიანტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 29 აგვისტოს N 320 ბრძანებით დამტკიცებულია პალატის წესდება, ხოლო ნოტარიუსთა პალატის გამგეობის 2005 წლის 28 აპრილის N8 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა პალატის აპარატის დებულება; საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (შემდგომში - პალატა) არის ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად აღასრულებს თავის უფლებებს და ვალდებულებებს, მოქმედებს კანონიერების, საჯაროობისა და თვითმმართველობის პრინციპების გათვალისწინებით.

პალატა შექმნილია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, განუსაზღვრელი ვადით.

პალატის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პალატის აღმასრულებელი დირექტორი არის თეა აბრამიძე, ხოლო გამგეობის დავით ფუტყარაძე

პალატის საქმიანობის სფერო.

პალატა თავისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად:

ა) ხელს უწყობს ნოტარიუსთა თვითმმართველობის განხორციელებას და ნოტარიუსების საქმიანობის კოორდინაციას;

ბ) მონაწილეობს კანონშემოქმედებით საქმიანობაში, საანოტარო საქმიანობის სრულყოფისა და ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრებისათვის განაზოგადებს საანოტარო პრაქტიკას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;

გ) ორგანიზებას უწევს ნოტარიუსობის კანდიდატთა სტაჟირებას;

დ) ორგანიზებას უწევს სასწავლო ცენტრის საქმიანობას. წელიწადში არანაკლებ ორჯერ უზრუნველყოფს ნოტარიუსთა სავალდებულო, უწყვეტ სამართლებრივ განათლებას/სწავლებას; ატარებს ნოტარიუსთა შემცვლელი პირების, პალატისა და საანოტარო ბიუროს თანამშრომლებისათვის სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს;

ე) აწარმოებს ანალიტიკურ, სტატისტიკურ და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ნოტარიატთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ვ) ფინანსურ დახმარებას უწევს ნოტარიუსებს და ნოტარიატის სისტემაში დასაქმებულ პირებს უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

ზ) უზრუნველყოფს ელექტრონული მონაცემთა ბაზების, საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებას;

თ) უზრუნველყოფს ნოტარიუსთა, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე ნოტარიუსთა, ნოტარიუსის შემცვლელ პირთა, ნოტარიუსის თანაშემწის კანდიდატთა, სტაჟიორთა, საანოტარო ბიუროებისა და მონაცემთა სხვა ბაზების შექმნას და განახლებას;

ი) მუდმივად ზრუნავს ნოტარიატის სამართლებრივი კულტურის განვითარებაზე, საზოგადოებაში ნოტარიუსისადმი ნდობისა და ნოტარიუსის საქმიანი რეპუტაციის ამაღლებაზე;

კ) უზრუნველყოფს ნოტარიუსის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას;

ლ) უზრუნველყოფს ნოტარიუსთა მიერ საანოტარო საქმიანობის პროცესში დამოწმებული დოკუმენტების არქივში შენახვას და ხელმისაწვდომობას;

მ) ახდენს ერთიანი ელექტრონული საანოტარო რეესტრის პრევენციულ შემოწმებას;

ნ) ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას რაც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და უფლებამოსილებების განხორციელებასთან და არეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

პალატაში 2020 საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული 52 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, რუსთაველის გამზ 30, ხოლო ფაქტიური – ქ თბილისი ა. წერეთლის გამზირი 142

პალატის ურთიერთობა იუსტიციის სამინისტროსთან

პალატა ანგარიშვალდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინაშე „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში და წესით. პალატის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი - ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის დარიცხვის და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

ისტორიული ღირებულების პრინციპის მიხედვით, აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის პალატიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარად პალატის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება.

2.2 შესაბამისობის განცხადება.

2019-2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულია ფასს-ის შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, პალატა ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2.3 ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა - პალატის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (“GEL”).

2.4 საანგარიშგებო პერიოდი - ჩვეულებრივ პალატის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.5 ოპერაციები სხვა ვალუტაში - ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება ფუნქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, კონვერტირდება ლარში იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა ეს ოპერაცია განხორციელდა. უცხოური ვალუტის გადაფასება - უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის

ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.6 ფული და ფულის ეკვივალენტები - ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები ბალანსში ასახულია პირვანდელი ღირებულებით.

2.7 მარაგები - პალატის მარაგები მოიცავს სამშენებლო სარემონტო მასალებს და მცირეფასიან ინვენტარს, ასევე ნოტარიუსებისთვის უსასყიდლოდ გადასაცემ აქტივებს.

2.8 ძირითადი საშუალებები - თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განთავსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. პალატის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება პალატის მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება

ცვეთა. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ჯგუფი	მომსახურების ვადა
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	2-5
საოფისე ავეჯი	10
სატრანსპორტო საშუალებები	10
შენობები	20
ნაგებობები	20
ინვენტარი	2-5

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

2.9 არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები

როგორც წესი, განვითარების ხარჯები წარმოდგენენ კომპანიისთვის მნიშვნელოვან შიგნით წარმოქმნილ არამატერიალურ აქტივებს. ინდივიდუალურ პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია პროექტის სამომავლო ეკონომიკური სარგებელი და დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: (ა) შესაძლებელია განვითარების ხარჯების ზუსტად შეფასება, (ბ) დადასტურებულია პროდუქტის ტექნიკური შესაძლებლობები და (გ) ხელმძღვანელობას აქვს განზრახვა და უნარი დაასრულოს არამატერიალური აქტივი და გამოიყენოს ან გაყიდოს იგი.

კომპანიის მიერ მართულ ბიზნესის სახეობაზე და კომპანიის მიერ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორც წესი, გონივრულად დადასტურდება ის ფაქტი, რომ არამატერიალური აქტივი წარმოქმნის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, პროდუქტის ბაზარზე გასვლამდე მცირე ხნით ადრე. აღნიშნულ დრომდე გაწეული ხარჯები არ ექვემდებარება აღდგენას.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ძირითადად დაკავშირებულია სუბიექტის შიგნით განვითარებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან და დაპატენტებულ საავტორო გადაცემებსა და პროცესებთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ექვემდებარებიან ზემოთ მითითებულ, ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკას.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის 5-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

2.10 განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდუდესი აქტივის გამოყენებით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელსა და რეალიზაციის

დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულადი სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და იმ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებაც ხდება.

2.11 განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივი განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება

2.12 პროცენტები

საწარმომ ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს პროცენტების სახით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადები. ამგვარი ფულადი ნაკადები წლების მანძილზე უცვლელად უნდა იყოს კლასიფიცირებული როგორც საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. ფასს – საწარმოს უფლება აქვს, გადახდოს პროცენტებს, ასევე მიღებულ პროცენტებსა და დივიდენდებს მიანიჭოს საოპერაციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან ისინი მონაწილეობს მოგების ან ზარალის განსაზღვრაში. მეორე მხრივ, გადახდილი პროცენტების, მიღებული პროცენტებისა კლასიფიცირება შესაძლებელია, როგორც საფინანსო და საინვესტიციო ფულადი ნაკადები, შესაბამისად, რადგან ამგვარი ფულადი ნაკადები ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებია, ან ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება.

2.13 ფინანსური აქტივები

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი, მათ შორის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები, გაცემული სესხები, შეზღუდული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ბანკში, მოქცეულია სესხებისა და დებიტორული დავალიანებების შეფასების კატეგორიაში.

სესხები და დებიტორული დავალიანებები არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახადი, მათ გარდა, რომლის გაყიდვასაც გეგმავს პალატა უახლოეს მომავალში. ისინი შეტანილია მიმდინარე აქტივებში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. ისინი კლასიფიცირებულია, როგორც არამიმდინარე აქტივები.

სესხები და დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით პლუს საოპერაციო ხარჯები და შედეგად აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის განხორციელებულ ყველა გადახდილ და მიღებულ საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯების და ყველა სხვა საპრემიო შენატანის თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს. მოგება და ზარალი შესულია მოგება-ზარალის უწყისში, როდესაც სესხები და დებიტორული დავალიანებები არ არის აღიარებული ან გაუფასურებულია, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

2.14 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.15 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

2.16 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტარნაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადავადებულია სხვა სრულ შემოსავალში, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირება).

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.2766	4.0233	4.4529
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095	3.7593

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტარნაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

2.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15%. 2016 წელი ეს არის ბოლო საანგარიშგებო პერიოდი, რომლის დროსაც მოგების გადასახადის გაანგარიშება მოხდა ამ პრინციპით.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. 2019 წლის განმავლობაში გადახდილი მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს 17 209 ლარს, ხოლო 2020 წლის განმავლობაში გადახდილი მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს 13872 ლარს

2.16 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პალატას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.17 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. პალატას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.18 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.19 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს. თუმცა, როდესაც წარმოიქმნება განუსაზღვრელობა თუ რამდენად ამოღებადია უკვე ამონაგებად აღიარებული თანხა, ის თანხა, რომლის ამოღებაც შეუძლებელია ან რომლისთვისაც ანაზღაურების მიღება მოსალოდნელი აღარ არის, თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირების ნაცვლად აღიარდება ხარჯის სახით. როგორც წესი, საწარმოს შეუძლია გააკეთოს საიმედო შეფასება მას შემდეგ, რაც ის შეთანხმდება: (ა) მხარეების მიერ გაწეულ და მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებით თითოეული მხარის იურიდიული ძალის მქონე უფლებაზე; (ბ) ანაზღაურებაზე; და (გ) ანგარიშსწორების წესებსა და პირობებზე. საწარმოსთვის, ასევე, საჭიროა ეფექტური შიდა ფინანსური ბიუჯეტირებისა და საანგარიშგებო სისტემის ქონა. მომსახურების შესრულების განმავლობაში საწარმო გადახედავს და, საჭიროების შემთხვევაში, შეასწორებს ამონაგების შეფასებებს. ასეთი შესწორებები აუცილებლად არ მიუთითებს ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასების შეუძლებლობაზე.

სსიპ „ნოტარიუსთა პალატის“ შემოსავლები მოიცავს: ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს და არაეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს.

2.20 აქტივების გაუფასურება, (გარდა მარაგისა) საწარმო მის აქტივებს გარდა მარაგისა, რომელიც გაუფასურებაზე ამოწმებს, მხოლოდ მაშინ თუ არსებობს გაუფასურების ინდიკატორები, რომლებიც მოითხოვება, რომ შეფასდეს ყოველის საანგარიშგებო თარიღისათვის. აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგისა, ფასდება ინდივიდუალურ დონეზე.

2.21 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

პალატა ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება პალატის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი

გადაწყვეტილებები:

შენიშვნები

შენიშვნა 1. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	საოფისი ავეჯი	მსუბუქი ავტომობილები	მოწის ნაკვეთები	კომპიუტერი, ტექნიკა და სხვა საოფისე	არამატერიალური აქტივები
საწყისი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018 წელი	1587078	340	80724	729090	64641	290242		91398
შემოსვლა			2261802	224907	80000			31434
გასვლა				55604	86558			5831
ცვეთა	87646	120		213690	14342			27649
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019 წელი	1499432	220	2342526	684703	43741	290242	0	89352
შემოსვლა	3157902		721632	709905				14783
გასვლა			3064158	46478				788
ცვეთა	166577	120		287154	14178			29614
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020 წელი	4490757	100	0	1060976	29563	290242	0	73733

შენიშვნა 2

დებიტორული დავალიანება	2020	2019
	ლარი	ლარი
მოთხოვნები ნოტარიუსების მიმართ	183380	262373
დაბრუნებას დაქვემდებარებული გადასახადები	9631	258749
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	0
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	14209	7332
სულ დებიტორული დავალიანება	207220	528454

შენიშვნა 3. საექვო ვალების ანარიცხები

პალატა საექვო ვალების ანარიცხებს არ ქმნის, რათა აღრიცხოს ნოტარიუსების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას. კანონმდებლობაში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებს, რამაც შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოთხოვნების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც, როდესაც არსებობს მინიშნება გაუფასურების შესახებ (დებიტორი გარდაიცვალა, გაკოტრდა, საქმიანობის უფლება შეუჩერდა და ა.შ).

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	0	2767
სულ	0	2767

შენიშვნა 4. ფული და ფულის ექვივალენტები

	2020	2019
ფული და ფულის ექვივალენტები	64123	236857
სულ	0	236857

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც პალატას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

შენიშვნა 5. მიღებული სესხები

	2020		2019	
	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	119283	181586	24384	143677
გრძელვადიანი სესხების	181586	1267256	143677	2000000

სსიპ „ნოტარიუსთა პალატის“ მიერ ფლობილი უძრავი ქონება მდებარე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის განზირი N42; (საკადასტრო კოდით: 01.13.04.017.037.01.500) წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფას სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ.

შენიშვნა 6

კრედიტორული დავალიანება

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო-კრედიტორული დავალიანება	16190	14236
სახელფასო ვალდებულებები	688	1832
ვალდებულებები საწარმოო პერსონალის წინაშე	15	
მიღებული ავანსები	3393	16433
მოკლევადიანი სესხები	181586	119283
სულ კრედიტორული დავალიანება	201872	151784

სავაჭრო-კრედიტორულ დავალიანებაში იგულისხმება სხვადასხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ არ არის გადახდილი წლის დასასრულს. კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

გამოუმუშავებელი შემოსავალი (მიღებული ავანსები) 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას ერიცხევა ავანსად მიღებული თანხები 16433 ლარი, ხოლო 2020 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით 3393 ლარი, რომელიც ბალანსის „გამომუშავებული შემოსავლის“ მუხლში არის წარმოდგენილი. მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორ კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს ნოტარიუსებისგან წინასწარ (ზედმეტად) გადახდილ თანხებს.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები შედგება:

1. ელექტრონული საწარმოო რეესტრის ადმინისტრირებასა და ტექნიკურ მეთვალყურეობის საფასური
2. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასური
3. სტაჟირების საფასური
4. არქივის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

ელექტრონული საწარმოო რეესტრის ადმინისტრირებასა და ტექნიკურ მეთვალყურეობის საფასური
ელექტრონულ საწარმოო რეესტრში საწარმოო მოქმედების რეგისტრაციის (გარდა დოკუმენტის ასლის დედანთან სისწორის დამოწმების რეგისტრაციისა) საფასურია 2.0 ლარი. (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით).

საწარმოო მოქმედების რეგისტრაციის საფასური გადაიხდებინება ნოტარიუსთან, რომელიც უზრუნველყოფს მის შეტანას საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ანგარიშზე. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 507, 2011 წლის 29 დეკემბერი, მუხლი 39 საწარმოო მოქმედების რეგისტრაციის საფასური)

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა (კვალიფიკაციის ამაღლება) – კანონი ნოტარიატის შესახებ განსაზღვრავს ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების წესს. ნოტარიუსის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს სტაჟირება ან აქვს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი ან საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა. პირი ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის იხდის საფასურს 150 ლარის ოდენობით. (კანონი ნოტარიატის შესახებ მუხლი 12/5)

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამას ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი. სტაჟირება ნიშნავს საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან არსებული სასწავლო ცენტრის საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ დადგენილი პროგრამით სწავლებას. სტაჟირება შედგება ორი ეტაპისაგან და მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებს.

სტაჟირების ორივე ეტაპის გასავლელად საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის გადასახდელი საფასურის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით (კანონი ნოტარიატის შესახებ მუხლი 12/5)

	2020	2019
შემოსავალი რეალიზიციიდან	1598692	2301349
შემოსავალი არქივიდან	91362	121605
შემოსავალი ელ. მომსახურებიდან	1481906	2179744
სტაჟიორთა და თანამშრომელთა ტრენინგების თანხები	25423	0

არაეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები შედგება:

1. საწევრო შენატანები;
2. ვირტუალური შემოსავლები;

3. ბანკებში დეპოზიტებზე განთავსებული ფულადი სახსრებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავლები;
 4. უსასყიდლოდ მიწოდებული აქტივების ღირებულება;
- საწევრო გადასახდი _საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წესდების მესამე მუხლის (სავალდებულო გადასახდელები ნოტარიუსთა პალატაში) თანახმად :
- საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ყველა წევრი ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიური საწევრო გადასახადი(შემდგომში საწევრო)საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დადგენილი წესით.

საწევროს განაკვეთია ნოტარიუსის საერთო შემოსავლის (ბრუნვის) 20 %. საწევრო გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის მიზნებისათვის საერთო შემოსავლში იგულისხმება თანხა, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო სანოტარო მოქმედებების შესრულებისათვის საზღაურის სახით, დამატებული ღირებულების გადასახადის, სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასურისა და სანოტარო მოქმედებათა დაკავშირებით სანოტარო მოქმედების მონაწილის მიერ ანაზრაულებული ხარჯების გამოკლებით. საწევრო ოდენობა ერთიანია ყველა ნოტარიუსისათვის.

შენიშვნა 9.არასაოპერაციო შემოსავლები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე (მსს ფასს 11.20 განყოფილება)

საპროცენტო შემოსავლების ფორმირება ხდება თავისუფალ ფულად სახსრებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის შედეგად.

შენიშვნა 10. სხვა შემოსავალი

ეს ჯგუფი მოიცავს ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად წარმოქმნილ დადებით შედეგს.

კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული შედეგები.

პალატის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახებიან გარიგების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარებიან გადაფასებას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდებიან ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარებიან გადაფასებას.

საკურსო სხვაობები ფულად ერთეულებზე აისახება მოგებასა და ზარალში მათი ფაქტიური განცდის პერიოდში.

საკურსო სხვაობების გაშიფრა -ნეტო	2020	2019
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	308	-232
სავაჭრო ვალდებულებები	1562	-829
ჯამი	1870	-1061

შენიშვნა 11. მიწოდების ხარჯები
რეკლამის ხარჯები

2020	2019
18030	47132

შენიშვნა 12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ბუღ. ანგარიშის N		საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წელი
7410 05	სასწავლო ცენტრის ლექტორების სახელფასო ხარჯი	28502
7410 1 1	აპარატის ხაშტათო ხელფასი	343263
7410 1 2	სხვა სახელმწიფოებრივი ხელფასი	2830
7410 1 3	აპარატის შტატგარეშე დარიცხული ხელფასი	157071
7410 1 4	არაპირდაპირი ხელფასი	4497
7410 1 5	დანამატი	12020
7410 11	საშტატო პრემია	35025
7410 12	შტატგარეშე პრემია	29625
7410 2 01	არქივის ხელფასი საშტატო ერთეულზე	79092
7410 2 2	არქივის სახელმწიფოებრივი ხელფასი	198302
7410 3 1	ნოტარიუსთა საპენსიო დაზღვევა	25554
7410 3 2	პალატის თანამშრომელთა დაზღვევა	36152
7410 3 3	დახმარებები	321915
7410 3 4	პალატის ქონების დაზღვევა	3366
7410 3 7	პალატის თანამშრომელთა საპენსიო ფონდი	12646
7410 7	არქივის სამსახურისთვის დაქირავებულ მუშახელზე სახელფასო ხარჯი	16654
7425	ლათინური ნოტარიატისთვის საწევრო (გრანტი)	6409
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	404683
7490 001	წარმომადგენლობითი ხარჯი	76990
7490 002	მივლინების ხარჯი	105083
7490 002/1	მათ შორის საწვავი	14845
7490 002/1 1	მათ შორის საწვავი	
7490 002/1 2	სხვა	9729
7310	რეკლამის ხარჯები	47132
7490 003 2	სხვა	97343
7490 003 3	აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება	10030
7490 003 4	ბანკის მომსახურების ხარჯი	5426
7490 003 5	დაცვა	24313
7490 003 6	ერთიანი ელექტრონული სისტემით უზრუნ.(ელექტრონული კანცელარია) და მაცნე	60858
7490 003/1		
7490 003/1 1	არქივის	536
7490 004		
7490 004 15	საქველმოქმედო	7426
7490 006 1		
7490 006 1 1	საფოსტო გზავნილები	1640
7490 006 1 2	არქივის კავშირგაბმულობის ხარჯები	5028
7490 006 1 3	ადმინისტრაციის	36549
7490 006 2		
7490 006 2 1	ადმინისტრაციული ოფისის საკანცელარიო ხარჯი	2049
7490 006 2 2	სასწავლო ცენტრის საკანცელარიო ხარჯი	361
7490 006 2 3	არქივის საკანცელარიო ხარჯი	5303
7490 006 3		
7490 006 3 1	არქივის	2832
7490 006 3 3	სასწავლო ცენტრის	216
7490 006 4		
7490 006 4 1	ადმინისტრაციული ოფისის	70589
7490 006 4 2	არქივის კომუნალური	1878
7490 006 6		
7490 006 6 1	არქივის	27981

7490 007	თარგმნა	57019
7490 008 1	სურსათი ტრენინგებისათვის(სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება)	244
7490 008 2	იუსტიციის სასწავლო ცენტრთან	11140
7490 008 3	სასწავლო ცენტრის გასვლითი ტრენინგები(სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება)	108259
7490 008 6	სასწავლო ცენტრისათვის ვიდეოგადაღება	2966
7490 008 8	სხვა	7844
7491	სხვა საერთო ხარჯი რომელიც არ გამოიქვითება	150
7490 006 3		4470
2	ადმინისტრაციული ოფისის	7155
7457	აიტი მომსახურების ხარჯი	2817
7460	მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	
7490 006 6		63124
2	სხვა(ადმინისტრაციული)	49879
7465	სხვა საგადასახადო ხარჯი	

ბულ. ანგარიშის N

საერთო და
ადმინისტრაციული
ხარჯები 2020 წელი

7410 05	სასწავლო ცენტრის ლექტორების სახელფასო ხარჯი	13961
7410 1 1	აპარატის ხაშტატო ხელფასი	312675
7410 1 2	სხვა სახელმწიფოებრივი ხელფასი	9232
7410 1 3	აპარატის შტატგარეშე დარიცხული ხელფასი	158293
7410 1 4	არაპირდაპირი ხელფასი	2920
7410 1 5	დანამატი	8375
7410 2 01	არქივის ხელფასი საშტატო ერთეულზე	74965
7410 2 2	არქივის სახელმწიფოებრივი ხელფასი	208189
7410 3 2	პალატის თანამშრომელთა დაზღვევა	17670
7410 3 3	დახმარებები	111182
7410 3 4	პალატის ქონების დაზღვევა	4144
7410 3 5	ნოტარიუსთა პროფესიული დაზღვევისათვის	26271
7410 3 7	პალატის თანამშრომელთა საპენსიო ფონდი	9395
7410 7	არქივის სამსახურისთვის დაქირავებულ მუშახელზე სახელფასო ხარჯი	5488
7490 001	წარმომადგენლობითი ხარჯი	69435
7490 002	მივლინების ხარჯი	19546
7490 002/1		15336
1	მათ შორის საწვავი	
7490 002/1		10659
2	სხვა	9937
7490 003 2	სხვა	2595
7490 003 4	ბანკის მომსახურების ხარჯი	52933
7490 003 5	დაცვა	57451
7490 003 6	ერთიანი ელექტრონული სისტემით უზრუნ.(ელექტრონული კანცლარია) და მაცნე	135
7490 003/1		2000
1	არქივის	
7490 004		
15	საქველმოქმედო	

7490 006 1		550
1	საფოსტო გზავნილები	
7490 006 1		4673
2	არქივის კავშირგაბმულობის ხარჯები	
7490 006 1		37148
3	ადმინისტრაციის	
7490 006 2		2109
1	ადმინისტრაციული ოფისის საკანცელარიო ხარჯი	
7490 006 3		1739
1	არქივის	
7490 006 3		6173
2	ადმინისტრაციული ოფისის	
7490 006 4		60717
1	ადმინისტრაციული ოფისის	
7490 006 4		1353
2	არქივის კომუნალური	
7490 006 6		7429
1	არქივის	
7490 007	თარგმნა	9942
7490 008 2	იუსტიციის სასწავლო ცენტრთან სასწავლო ცენტრის გასვლითი ტრენინგები(სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება)	2916
7490 008 3		1111
7490 008 4	სხვა ხარჯი შიდა ტრენინგები და იჯარა(სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება)	700
7490 008 7	კვლევა	28560
7490 008 8	სხვა	1800
7493	არაფინანსური აქტივების ზრდა	5881
7457	აიტი მომსახურების ხარჯი	46324
7458	COVID 19 ხარჯი	26517
7465	სხვა საგადასახადო ხარჯი	86306
7310	რეკლამის ხარჯები	18030
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	544030
7425	ლათინური ნოტარიატისთვის საწევრო (გრანტი)	7964
7490 006 6		19805
2	სხვა(ადმინისტრაციული)	

შენიშვნა 13. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ზონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან. პალატას ყავს როგორც შტატის ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ პერსონალის ხარჯები განაწილებულია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯებში (წარმოების, მიწოდების და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი). საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის, მივლინების და ცვეთის ხარჯები.

შენიშვნა 14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 იანვარს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას პალატამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. პალატა პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

ქვემოთ განხილულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც მეტწილად ზეგავლენა აქვთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ რაოდენობებზე, და რომლებიც შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში იწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკს.

1. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა პალატას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

სასამართლო დავები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პალატა არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში. *

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება პალატის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები - 2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი 2020 წლის 22 მარტიდან - 2020 წლის 22 მაისამდე. 2020 წლის 28 ნოემბრიდან რამდენიმე შეზღუდვა განახლდა და გრძელდება 2021 წლის განმავლობაშიც. პალატის მენეჯმენტი ვერ აკეთებს ზუსტ პროგნოზს, თუ რა ეფექტი ექნება COVID-19-ს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს პალატის საქმიანობაზე, თუმცა, მენეჯმენტის შეფასებით, COVID-19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია პალატის უნარზე, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

2. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენა რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საქმიანობის შედეგებზე, ეს არის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში 2020 წლის

30 დეკემბერს დღგ-ს კარში შესული ცვლილება. კერძოდ: მუხლი 158. დღგ-ით დასაბეგრი პირი 1. დღგ-ით დასაბეგრ პირად (შემდგომ – დასაბეგრი პირი) განიხილება ნებისმიერი პირი, რომელიც ნებისმიერ ადგილზე დამოუკიდებლად ახორციელებს ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად ამ საქმიანობის მიზნისა და შედეგისა. 2. ამ კარის მიზნებისთვის ეკონომიკურ საქმიანობად განიხილება: ა) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობა; ა) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობა; (ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან) ბ) საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ოპერაციების განმახორციელებელი პირების საქმიანობა, გარდა ერთჯერადი/ არარეგულარული ხასიათის საქმიანობისა, ამ მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით; გ) ქონების გამოყენება რეგულარული შემოსავლის მიღების მიზნით. 3. ერთჯერადი/არარეგულარული ხასიათის მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში, ეკონომიკურ საქმიანობად განიხილება არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობის/ნაგებობის მიწოდება. 4. ეკონომიკურ საქმიანობად არ განიხილება: ა) ამ კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ-ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობები; ბ) სახელმწიფო ხელისუფლების/მუნიციპალიტეტის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობა, თუ ის საქმიანობის განხორციელებისას მოქმედებს, როგორც სახელმწიფო ორგანო (ახორციელებს სახელმწიფოს მიერ მისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებას), იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ საქმიანობისთვის დადგენილია საწევრო, მოსაკრებელი, საფასური ან სხვა გადასახდელი, გარდა: ბ.ა) ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისა; ბ.ბ) წყლის, გაზის, ელექტროენერგიის ან თბოენერგიის მიწოდებისა; ბ.გ) საქონლის ტრანსპორტირებისა; ბ.დ) პორტის ან აეროპორტის ბ.ე) მგზავრის ტრანსპორტირებისა; ბ.ვ) რელიზაციის მიზნით წარმოებული საქონლის მიწოდებისა; ბ.ზ) საშუაშაგლო სააგენტოს მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისა; ბ.თ) გამოფენა-გაყიდვის ორგანიზებისა; ბ.ი) დასაწყობებისა; ბ.კ) სარეკლამო საქმიანობისა; ბ.ლ) ტურისტული აგენტის საქმიანობისა; ბ.მ) საზოგადოებრივი კვებისა; ბ.ნ) რადიო- და ტელესამაუწყებლო საქმიანობისა. 5. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, კონკურენციის შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, განსაზღვროს ამ მუხლის მე-4 ნაწილისგან განსხვავებული საქმიანობის სახეები, რომელთა განხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების/მუნიციპალიტეტის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობა განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად.

შესაბამისად, 2021 წლის 01 იანვრიდან დღგ-ს კარში შესულმა ცვლილებებმა, შესაძლოა გარკვეული გავლენა მოახდინოს პალატის საგადასახადო ვალდებულებებზე, რაც უკავშირდება წინა პერიოდში ძირითად საშუალებებზე ჩათვლილ დღგ-ს.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.